ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 11

8 აგვისტო, 2022 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

12:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდნენ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე. სხდომა მიეღვნა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული გმირების სახელების უკვდავყოფას.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიისა და საკრებულოს წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

კახაბერ ლაბუჩიძე

ირაკლი ნადირაძე

ოთარ გრიგოლია

ლევან არველაძე

გივი ჩხარტიშვილი

ანა კაკაბაძე

ლილე ლიპარტელიანი

გიორგი ონიანი

ასევე სხდომას ესწრებოდნენ დაღუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრები, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები:

მაია ქავთარაძე

მარიკა დარჩია

ასმათ ბაბუციძე

ლია ბერიძე

ბაჩო ღვინიაშვილი

იულია კლიმჩუკი

დიმიტრი კიკნაძე

კახაბერ ქართველიშვილი

სერგო მაღნარაძე

ნუცა სერგია

ზურაბ ჯღარკავა

მანანა დადიანი

თემურ ჯოჯუა

თეიმურაზ ჯოჯუა

ლელა ქანთარია

ლუკა უდესიანი

მერი ჯოჯუა

რამაზ ჯოჯუა

დინა ჯოჯუა

ანა ჯოჯუა

ანრი ჯოჯუა

რევაზ კედია

აკაკი კედია

ქეთი გოსტამაშვილი

ელენე გოგოლაძე

სხდომის გახსნის წინ კომისიის წევრებმა და მოწვეულმა სტუმრებმა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულების ხსოვნას წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

სხდომის დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბოჭორმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, დოლაბაურის I ქუჩისთვის, დოლაბაურის III ჩიხისთვის, დოლაბაურის გასასვლელისთვის, დოლაბაურის I ჩიხისთვის საქართველოს ეროვნული გმირის, ალექსანდრე ონიანის სახელის მინიჭების შესახებ.
2. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თხინვალაში მდებარე უსახელო სკვერისთვის საქართველოს ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შვიდი შესახვევისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ლევან დევდარიანის სახელის მინიჭების შესახებ.
4. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მარინა ჭყონია-სამარგულიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ილია ბაბუციძის სახელის მინიჭების შესახებ.

5. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზღვის უბნის დასახლების III მიკრო/რ-ნის, I კვარტალში არსებული უსახელო სკვერისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, გიორგი ჯოჯუას სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თემქის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ლევან ჭოჭუას სახელის მინიჭების შესახებ.
7. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ივერი ფრანგიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, კახაბერ თავგორაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ოთხი ჩიხისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, კობა სერგიას სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, გიორგი ბერიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თოდორე უშაკოვის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, გიორგი ღვინიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
11. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თენგიზ შეშელიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ანზორ გელდიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
12. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ნატალია სამქანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
13. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, საცხენისის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჟურნალისტის, გიგა ჩიხლაძის სახელის მინიჭების შესახებ.
14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ფოტორეპორტიორის, ალექსანდრე კლიმჩუკის სახელის მინიჭების შესახებ.
15. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ტელეოპერატორის, სტან სტორიმანსის სახელის მინიჭების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ სხდომაზე დამსწრე პირებს სიტყვით მიმართა. მან განაცხადა: "ეს დღე საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დღეა, თუმცა ეს დღე გმირობასთან და თავდადებასთანაც ასოცირდება. თოთხმეტი წლის წინ, დღევანდელ დღეს, ჩვენმა გმირებმა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის თავიანთი სიცოცხლე

უპირობოდ გასწირეს. ეს დღე გმირობის, ერთიანობის და თავდადების ნათელი მაგალითია. ჩვენ მათ არასდროს დავივიწყებთ. საქართველო ოკუპაციას არასდროს შეეგუება. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ გვაქვს შესაძლებლობა, ამ ადამიანების სახელების უკვდავსაყოფად თბილისში ქუჩების სახელდება განვახორციელოთ. ეს არის ის მცირედი, რისი გაკეთებაც ჩვენ მათთვის შეგვიძლია. კიდევ ერთხელ ქედს ვიხრი ჩვენი გმირების წინაშე".

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ დღეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დღე. საქართველოში არასოდეს დაავიწყდებათ ოკუპაცია ვინ განახორციელა და არავის მივცემთ უფლებას ეს ოკუპაცია დიდხნს გაგრძელდეს.

კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიმართა. მან აღნიშნა: „2008 წლის 8 აგვისტო ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმესი დღეა. ამ დღის ტკივილი არასდროს განელდება. ეს დღე განსაკუთრებით მძიმეა მათთვის, ვინც ომში ოჯახის წევრები და მეგობრები დაკარგა. აგვისტოს ომის გმირების სახელების უკვდავსაყოფად, ჩვენი გადაწყვეტილებით, თბილისის 15 ქუჩას, რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა სახელები მიენიჭება. 2008 წლის რუსეთის აგრესიას სულ 184 სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლე შეეწირა. ამ დროისთვის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ 27 მებრძოლის სახელობის ქუჩის სახელდება განახორციელა. დღეიდან ამ სიას კიდევ 15 ქუჩა შეემატება. პროცესი გრძელდება და ჩვენი მხრიდან ყველა გმირის ღვაწლი დაფასდება".

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საკრებულოს ინიციატივით, ამ ეტაპზე, 15 გეოგრაფიული ობიექტის სახელდება განხორციელდება. აქედან სამი მათგანის, ილია ბაბუციძის, გიორგი ჯოჯუას და ლევან ჭოჭუას სახელების მინიჭების საკითხი უკვე ინიცირებულია და საჯარო განხილვის ეტაპზეა.

ისნის რაიონში, ბოჭორმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას დოლაბაურის I ქუჩას,, დოლაბაურის III ჩიხს, დოლაბაურის გასასვლელს და დოლაბაურის I ჩიხს საქართველოს ეროვნული გმირის, ალექსანდრე ონიანის სახელი მიენიჭება.

ვაკის რაიონში, თხინვალაში მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭება საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის სახელი.

სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შვიდ შესახვევს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ლევან დევდარიანის სახელი მიენიჭება.

სამგორის რაიონში, მარინა ჭყონია-სამარგულიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ილია ბაბუციძის სახელი მიენიჭება.ილია ბაბუციძე ცხოვრობდა ხსენებული სკვერის მიმდებარედ.

ნაძალადევის რაიონში , ზღვის უბნის დასახლებაში მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭება გიორგი ჯოჯუას სახელი. იგი ცხოვრობდა ზღვისუბნის ტერიტორიაზე. ასევე ნაძალადევის რაიონში თემქის ქუჩას მიენიჭება რეზერვისტის ლევან ჭოჭუას სახელი. ნაძალადევის რაიონში, ივერი ფრანგიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, კახაბერ თავგორაშვილის სახელი. ნაძალადევის რაიონში

შერჩეულ იქნა ანზორ გელდიაშვილის სახელობის ქუჩაც, ვინაიდან მას სკოლა დამთავრებული ჰქონდა აღნიშნულ უბანში.

ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და ოთხ ჩიხს მიენიჭება კობა სერგიას სახელი. იგი ცხოვრობდა ვაკის რაიონში და ტერიტორია შეირჩა სიმბოლურად. ასევე კობა სერგიას ქუჩის მიმდებარედ, შუა მინდვრის ქუჩასთან თემატურად შეირჩა გიორგი ბერიკაშვილის სახელობის ქუჩაც.

ისნის რაიონში, თეოდორე უშაკოვის ქუჩას მიენიჭება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, გიორგი ღვინიაშვილის სახელი. უშაკოვი იყო ადმირალი, რომელსაც საქართველოსთან კავშირი არ ჰქონია და სიმბოლურია რომ ეს სახელი შეიცვლება ქართველი გმირის სახელით.

ნატალია სამქანაშვილი იყო ერთადერთი ქალი, რომელიც შეეწირა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას ქალაქ გორში, სამხედრო ნაწილის რუსული ავიაციის მიერ დაბომბვის შედეგად. მისი სახელობის ქუჩა იარსებებს სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ.

აგვისტოს ომში გარდაცვლილი ჟურნალისტის გიგა ჩიხლაძის, ფოტორეპორტიორის ალექსანდრე კლიმჩუკის და ჰოლანდიელი ტელეოპერატორის სტან სტორიმანსის სახელობის ქუჩების სახელდება კი სამგორის რაიონში განხორციელდება.

დასასრულს საზოგადოებას მიმართა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა მაია ქავთარაძემ : "დღეს გვაქვს უმძიმესი დღე. დიდება და მარადიული ხსოვნა გმირებს. მადლობა მათ დედებს ასეთი შვილების აღზრდისთვის. მადლობა თბილისის საკრებულოს რომ ითანამშრომლა თავდაცვის სამინისტროსთან, განახორციელა სახელდება და ამ ფორმით 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირების სახელების უკვდავყოფა."

ოჯახის წევრებმა მადლობა გადაუხადეს საკრებულოს ამ მძიმე დღეს მათი გმირების სახელების უკვდავყოფისთვის, მათ აღნიშნეს რომ ეს დღე არის განსაკუთრებით ღირსახსოვარი და საამაყო, რადგან შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს სამშობლოსათვის შეწირული გმირების სახელებს.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხებს ერტხმად დაუჭირეს მხარი. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე